

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის (სადღვანო) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში № 33.

ქანთორა რედაქციისა: იქვე, სადაც იმყოფება რედაქცია.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროага“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., 6 ხევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთსთავისა—1 მან.

სოციალ დემოკრატიის გარდა

დროაგა

ცალკე ნომერი ღირს შაშურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში.

ფასი განცხადებისა: დღისათვის—1 კაპ., ახო-მოთვრულით—2 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გასწოროს და შეამოკოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

„მშაკის“ რედაქტორს

ამ რამოდენიმე წლის წინათ, როდესაც ქალაქის გამგეობის წყალობით საბრალო მუშა ხალხი უშიშრად მთელისში ველარ შემოდინდა, როდესაც იმათ ერთის მანეთის გულისათვის შეკუბრალელებლად სკარცვადენენ, თულევივით ეცემოდენ ქუჩებზედ, სამუშაო იარაღებს ართმევდენ, ტანსაცმელს ხდიდენ, ატუსაღებდენ და გამკითხავი კი არასად იყო, ჩვენ სხვათა შორის აღვძარიტ შემდეგი კათხვა:

„მს ალა-მაჰმად-ხანური ქცევა ჩვენ არ გვაკვირვებს ქალაქის ბამგეობის მხრით, რომელიც საკუთრად სომხებისაგან არის შემდგარი, ჩვენ ამგვარების ჩვეული ვართ მათგან; მაგრამ ეს კი ვერ გავგვიგია, თუ რა მიზეზია, რომ სომხის ახალგაზლობა ამხედ ხმას არ

იღებს და არა ჰკიცხავს თავის მამებისა და უფროსი მოძმეების ბოროტ-მოქმედებას?“

ამ კითხვამ ააღელვა არათუ მარტო ფარისევლები, მწიგნობრებიც; სომხური გაზეთები ერთ-ხმად იძახოდენ:

„რას ვჩხის ავტორი სომხის ნაციას? მთელისში მცხოვრები ვაჭრები ისე მანებელი არიან სომხებისათვისაც, როგორც ქართველებისათვისაო! მაინი არ არიან სომხები! სომხები, ე. ი. „ჭიკანები“ მეტად პატიოსანი ხალხიაო! ხენა და თესვა იციან, პატიოსნურათ ცხოვრებენ, და სხვა ხალხებზედ კი არ მონაერობდენო!“

ამ ჰაზრზედ ყველაზე უფრო მტკიცედ აღვა უ. არწრუნი „მშაკის“ რედაქტორი, თუმცა ესეები ყველა ჩვენც ვიცოდით, ახალი ამათ არა უთქვამს-რა ჩვენთვის! ჩვენ რაცა ვსთქვით, ვსთქვით ქალაქელ-ვაჭარ-სომხებზედ, რომელზედაც საქართველოში ანდაზაა დარჩენილი: „მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა

მეხიო!“ იმას, რასაკვირველია, არ ეგებოდით სომხის ნაციასზედ; მაგრამ ეს კი გვინდოდა, რომ შეგვეტყო სომხების ახალგაზლობისაგან: ისინი როგორღა უყურებდენ ვაჭარ-სომხობას: ერცხვინებოდათ იმათი მოქმედება საქართველოში, თუ ექებოდათ? ამით გვინდოდა შეგვეტყო: შეიძლებოდა ახალ-გაზდა სომხებთან დაგვეჭირა ძმობა და ამხანაგობა, თუ არა? მათმა პასუხმა დაგვაკმაყოფილა, როდესაც ამათ უარი ჰყვეს და ვერ იცნეს სომხების წარმომადგენელად ის ვაჭრები, რომელნიც ჩვენში შეცდომით სომხებად იყვენ და არიან ცნობილნი. მაშინ ვენდეთ ჩვენ მათ სიტყვას და ვუცდით საქმესაც. მს საქმეც მალე შეხვდათ სომხის ახალგაზლობას:

წლებადღელ რჩევაში იმათ საქმარა გავლენა და საქმარა ძალა გამოიჩინეს; მათის მეოხებით მდიდარი სომხები ჩააშავეს; მაგრამ მათვე თან ჩააყოღეს ქართველებიც.

ამ გვარმა ქცევამ ცოტა არ იყო

ფელტონი

მასლაათი

ახალი წლის მოახლოვება.— ანგარიშების გაწმენდა.— მაჭარი, ჩინოვნიკი, სულიერი მამა, მხენელ-მთესველი.— ახალი რჩევა და ბამგეობა მთელისში.— ახალი თავი მუთისში.— უ. ნ. ლობაძისივე ყოვლად-კანდიდატი.— მინუშები უფ. ნიკოლაძის ცრუ-მოთარგმნელობისა.

სწორეთ ერთის კვირის შემდეგ ეს ჩვენი პატიოსანი 1878 წელიწადი გათავდება და ამის აღვიღოს დაიჭირს ახალი, ბრწყინვალე, ჩინებული 1879 წელი.

სწორეთ ერთის კვირის შემდეგ ახლანდელი წელიწადი გასულ წლად შეიქნება და ჩაერიცხება იმ წელიწადებში, რომელნიც, დადგომის დროს, ბევრ იმედებს გვაძლევენ, მაგრამ გათავებისას კი პირ-ღია და ხელ-ცარიელს გვტოვებენ.

ამის მაგიერად დადგება ახალი წელიწადი, რომელიც ბრწყინვალეა მხოლოდ სანამ დადგება, რადგან თითოეულს ჩვენგან ბრწყინვალე ემედები ებადება თავში ამ ახალ წელიწადში შესასრულებელად; მაგრამ დადგება თუ არა—მეორე დღესვე გრწმუნდებით, რომ ეს ახალი წელიწადიც ძველისაგან მაგდენით არაფრით განირჩევა...

შველა გავლილი წლის ანგარიშს არდგენს ახლა. საქმიანსა და უსაქმოს ყველას ცნობაში მოჰყავს—თუ რა გაუკეთებია და რა არ გაუკეთებია, რა შეუძენია და რა დაუქარგავს ამ წამავალი წლის განმავლობაში.

მაჭარს ჩოთქი უჭირავს ხელში და ანგარიშობს, თუ ამ გავლილ წელიწადში რამდენი მოიგო მანეთზე;— მარშანდელი წელიწადი ომის წელიწადი იყო, მოსავლიანი; მამასადამე კარგი გამოანგარიშება ეჭირება..

ჩინოვნიკს ცნობაში მოჰყავს იმის ანგარიში, თუ რამდენი ქალღი, „საქმე“ შეასრულა, რამდენი „საქმე“ გავიდა იმის ხელიდან. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: ამხედ არის დამოკიდებული—თუ რამდენს საახალწლო ჯილდოს მიიღებს თავის უფროსისაგან..

სულიერი მამა თითებზედა სთვლის—თუ რამდენი მონათლა, რამდენი დააქორწილა და რამდენი გაისტუმრა „წიაღსა შინა აბრაამისასა“, საიღამაც აღარავინ ბრუნდება.

მხენელ-მთესველი თავის დედაკაცს ეკითხება და იმისაგან ტყობულობს—თუ რა მოუტანა იმას ყანამ, ზვარმა და სხვ. იმისაგანვე დაწვრილებით შეიტყობს აგრეთვე, როგორ დაუჯდა იმას ამ წელში ის თუმანი, რომელიც მარაპეტ მუხანოვისაგან იესხა, და სხვ. და სხვ. ამნაირად ყველანი ანგარიშობენ, ყვე-

ლას ცნობაში მოჰყავთ თავიანთი გავლილი წლის შემოსავალ-გასავალი, გავკეთებული და გაუკეთებელი საქმე.

და დარწმუნებული იყავით, რომ, როდესაც ამ შაბათს სელამოს „იტოგს“ გაუკეთებენ გავლილ წელიწადს და ჯამს გამოიყვანებენ, ვაჭარიც, ჩინოვნიკიც და სულიერი მამაც კმაყოფილი დარჩებიან და ტკბილად დაიძინებენ, როდესაც შეიტყობენ, რომ ეს 1878 წელიწადი „სარფიანი“ წელიწადი ყოფილა იმათთვის...

მაგრამ არის ერთი ვინმე, რომელსაც ამგვარი ანგარიშები მაგდენათ არ ეპიტხავენ, რომელიც არც კი ანგარიშობს, რადგან თავიდამე იცის, გრძობს, რომ წარსულ წელიწადს იმისთვის სიკეთე არაფერი შეუძენია; არის ერთი ვინმე, რომელიც წლითი-წლობამდინ მუდამ შრომობს, მუდამ ოფლის-ღვრამია, რომელსაც თუმცა ყველაზე პირველად, ყველაზე საგრძობელად ომი, ჭირი, სნეულობა დაატყდება თავზე, მაგრამ ხეირს კი ვერა ხედავს.

მს ერთი ვინმე არის—ხალხი, საზოგადოება. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ თითოეული პირები: ვაჭარი, ჩინოვნიკი, მემამულე, სულიერი მამა მდიდრდებიან, კეთილ-დღეობას იძენენ, ნეტარებაში დგხშირად განცხრომაში არიან,—და ხალხი კი თითქმის ისევე ამავე მდგომარეობაში

ჩაგვაფიქრა და თუ სხვა გვარად არ ეცნობდეთ იმ ახალთაობას, შეგვეძლო გვეფიქრა რომ ისინი მათ მამა-პაპების, ვაჟარ-სომხების კვალზე მიდიანთქო, რომ ისინი, როგორცა სხანს, მისთვის კი არ გვიშვერენ ხელს, რომ ჩვენთან ერთად, შეერთებულად, პატიოსნურად იშრომონ, არამედ მისთვის, რომ მათმა ხელმა ჩვენს ჯიბეში ამოჰყოს თავი.

შამეორებთ, რომ ეს ცილის-წამება იქნება და ამისთვის არ გეჯერა, მაგრამ მაინც შინაურობაში რომ შეგვეცუო მიხვები, არ იქნება ურიგო არც ჩვენთვისა და არც იმათთვის და ამ ჰაზრით მივეციტ კობხვა, თუ რა მიხვები იყო, ქართველი რომ არაინ ამოაჩივს?

პაპზედ უ. არწრუნმა გვიპასუხა ყველას მაგიერ. თუკა მისი პასუხის წინააღმდეგი ჯერ არცერთს სამხის ახალგაზდას არ უთქვამს-რა და ეს, ცოტა არიყოს, თანხმობას ჰკავს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენის მხრით დარწმუნებული ვართ, რომ მისი პასუხი არ შეადგენს საზოგადო სამხების ახალგაზდაობის ჰაზრს და გულის პასუხს მათ უფრო, რომ ის პასუხი არის ეგოისტური, უსამართლო და წინდაუხედავი. ამისათვის ჩვენი პასუხიც იქნება საკუთრად უ. არწრუნთან და არა საზოგადოთ სამხებთან.

პ. ტე-ციმული რედაქტორი, ის რე-

ჩნება, როგორც „პატარა ძახის“ დრო იყო, იგივე გაჭირება ადგია (არა გარეშე მტრისაგან—შინაგანისაგან), რაც მას შინ ადგა, ისევე ის ხენა-თესვა აქვს, ისევე ის ნახევარ-პირუტყული ცხოვრება, რაც მაშინ...

რისგან არის ეს, ჩემო მკობხველო? სანამ შენ ამ ძველზე უძველესს გამოცანას გამოიცნობდე, მე სხვა რაზედმე დავიწყებ მასლაათს...

მომავალი ახალი წელიწადი სხვათა შორის ჩვენი ორი დედა-ქალაქისთვის—თფილისისა და შუთაისისთვის დიდათ შესანიშნავი წელიწადი იქნება.

მართს ეყოლებოდა ახალი ჩივია, ახალი კრება თავის ჭირისა და ღონისის წარმომადგენელთა; მეორეს ახალი თავი. მართი და მეორეც ძველებში მოტყუებულნი დარჩნენ, ახლისაგან მოვლიან ყოველ ბედნიერებას, ყოველ გაჭირებისაგან დახსნას.

რალა თქმა უნდა, რომ ერთიც და მეორეც ამ იმედებში, სულ თუარა, სანახევროდ მაინც, მოტყუებული დარჩება; და მე დარწმუნებული ვარ, რომ, როცა ოთხი წლის შემდეგ ამ ქალაქებში ახალი ჩივია და შამეგობის ამორჩივის დრო მოაღწევს, ამ გვარივე ლაპარაკი იქნება, როგორც ახლა არის, ამ გვარადვე დაუწყობენ ძველებს საყვედურს და ახლის იმედით ინუგეშებენ თავს!

რას იქო? აღმამიანის ბუნება ეგეთია: აწმყოთი ის არასოდეს არ კმაყოფილდება, —სულ უკეთეს ეძებს, ეძებს და ეძებს... მერ შემიძლიან წარმოვიდგინო—რა ფაქტ-ფუტი და გაცხარებული ბაასები

დაქტორი „მშაკისა“, რომელიც ამ ხუთის წლის წინეთ უარს-ჰყოვდა ვაჭრების სომხობაზედ, დღეს აღიარებს, რომ ესენი სწორეთ სომხის ნაციას შეადგენენო, მაგრამ გაუთუქებული არიანო და ამისთვის ქვესკვენელში აძერენს მათ. ამასაც ამატებს, რომ განათლებულაც რომ იყვნენ, მაშინაც ვალდებული არიან საზოგადო არა იქონიონ—რა ქართველებთან ქალაქში, რადვანც თფილისის-ქალაქი დღეს სომხებისააო! მართალია საქართველოშია, ძველი ქართველების სატახტო ყოფილა, მაგრამ ისტორიულ სიძარტლეს რა ძალა აქვს, უარ-გჰყობ და თფილისი მაინც სომხების არისო!

ჰოი, საკვირველებავ, ასე ცუდია უცოდინარობა! ღვინდის მე თფილისი ისეთი საზოგადო ქალაქი მეგონა, როგორც ხარკოვი, მოსკოვი, ძაევი და სხვა ქალაქები და ახლა ვამოდა, რომ თურმე სომხების ჰყოფილა, და რაც უნდა, იმას უზმენ ამ ქალაქსა, უნდათ შესწვენ, უნდათ მოხარშვენ! იმის თორით ახლა ვიცი, რომ მოსკოვი, სადაც სომხები სცხოვრებენ, სადაც ლაზარევიც ინსტიტუტიცა აქვს და ერთ ქუჩასაც სომხის ქუჩა ჰქვიან, პირდაპირ სომხებისა ყოფილა! ამ გვართ ბეგრი ქალაქები დარჩებათ მათ: შენეტკი, პარიტი, ძალკუტა და სხვანი და სხვანი... პატრიოტობა თუ გინდა ამა ეს არის. ჩამდენი სასომხეთო გამოაჩინა!..

და პარტიობა იქნება ახლა შუთაისში. ჯერ, როცა ბანკის მოხელეებს არჩევდნენ, „აჩენჩაობის“ თანამდებობისათვის თავ-პირს ამტერვდნენ ერთმანეთს და ახლა ძალაქის თავს არჩევენ და ხუმრობა, ამ თავს წელიწადში უკანა-კნელი 3,000—3,500 მანეთი მაინც ექნება ქალაქის ხაზარდამ ჯამაგირად დანიშნული! ჩამდენი კანდიდატები გამოჩნდებიან! მან არ იყრის კენჭს! ჩამდენს ყორანივით გააშავებენ! ჩამდენი ცხარე იტყევი, ჩამდენი პარტიების მახინაკიები, ჩამდენი გამომ-გამომძრომა დახარჯება!

თფილისში გყავს ჩვენ ერთი პატივცემული პირი, რომელიც საცა კი აღმორჩევით შეიძლება რამე თანამდებობის მიღება, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ის იქ არის და უფუქვლადც კენჭს იყრის. ჩამდენჯერ გაუშავებით, მაგრამ არა უშავს-რა: ახალი აღმორჩევითი თანამდებობა გამოჩნდა სადმე, —იგივე კანდიდატი კიდევ მზათ არის!

პრთი ამნაირი პატივცემული პირი შუთაისშიაც არის. ეს ვახლავთ—უფ. ნიკო ლაღბერიძე. სახანაურო ბანკის თავსმჯდომ რე ვინდა—უ. ნ. ლაღბერიძე მზათა. ამვე ბანკის დირექტორებს ეძებთ? ბერი ძებნა რა საჭიროა? პი იგივე ნ. ლაღბერიძე ჩინეულად ასარულებს ამ თანამდებობას. თავდაზნაურთა მარშალი გეჭარებათ? ნ. ლაღბერიძეზე უკეთესი წინამძღოლი ვინდა გენბათ? მართალია, უფ. ლაღბერიძეს არცერთს ამ თანამდებობაზედ არ უყრია კენჭი, რადგან გაყვავ-გაყორნობის წინაგრძნობა ჰქანდა, მაგრამ საქმე ის არის,

სადაც კი სომხებს არშინი შეუტანია, ყველა „ჰიასტანი“ ჰკონია უ-არწრუნს!.. საკვირველია, რომ ქრუცდამე-სტორიულ სიმრთლეს ჰკიცხავს და მხოლოდ ძალას აძლევს უპირატესობას უ. არწრუნს. როგორც თფილისოფოსი, მართალია, მაგრამ ამ უკანასკნელ ომიანობის დროს კი, მგონია, სულ სხვა ჰაზრისა იყო?!

წინ-დაუხედავით რომ კაცი ფებს გადაადგამს, სშირად ეკალი ესობა ხოლმე ფებს-გულში; ის ეკალი მაშინ, იმ დროს ძალაა, რასაკვირველია, მაგრამ იმ ძალას გამოიღებენ ხოლმე და ცეცხლში ავდებენ. თავი რომ სახლში გაჩნდება და დაუწყებს აქეთ-იქით ხეჯას, ის მაშინ ძალაა, მაგრამ იმ ძალას კატებს გაუჩინენ ხოლმე. მა, მგონია, უნდა იცოდეს უ. არწრუნმა. და არ უნდა იკვებდეს იმ ძალას, რომელიც სხვა ძალით ადვილად დაუძლურდება.

მკორეც ესა. რა არის ეს მუდამ დაცინება ქართველ ხალხზედ, რომ ვითომც იმათ ნიჭი არა ჰქონდესთ კომერციისა? —ჯერ იმისათვის დროთა-ვითარებას შემთხვევა არ მიუცია, რომ გამოეჩინა ის ნიჭი, და ენახათ მომავალში. მასთანაც „მითანა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე ბევრს იწველიდესო“, ნათქვამია... იმან გაჰკიცხოს საქართველოს ხალხი, რომელიც მეტ ნიჭს იჩენდეს! ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართველ ხალხს ნიჭი გამოეჩინოს

რომ იმას ჰყავს ზოგიერთი „კეთილ მოსურნეები“, რომეონიც ყოველთვის იმას წამოაყენებენ კანდიდატად.

ძარგია, ღმერთმანი, ეყოფა ამ ლოღბერიძეებს, რაც ამდენი ხანი საზოგადოების გამდლობა გავვიწიეს! ახლა ერთი სხვებიც ვსცადოთ! პრთან იმერთში თითო-ოროლა ახალგაზდაობა, რომელთაც ჰსურსთ და შეუძლიანთ კიდევ საზოგადოების სამახური. სულ თქვენ, ყველგან თქვენ—როგორ იქნება!..

ძილევ უფ. ნაკოლაძეზედ და, მგონია, რომ ეს ამ წელს მაინც უკანასკნელი სიტყვა იქნება ამ ჩვენს ლიტერატურის ლამაზიელ აზნაურზედ.

იქნება ახლაც ჩემს მკითხველს პატარა შენიშნვა უფ. ნაკოლაძის ჩვენი „მასლაათის“ თარგმანზედ. ჩვენ ვსტყვი, რომ იმია თარგმანი საძაგელი, უაზრო და უგემური თარგმანია-მეტქი და, უფუქველია, განგებ გადათარგმნა ასე ცუდათ, დაინახონ ჩემმა მკითხველებმაო—თუ როგორი მწერალი—მოწინააღმდეგეები მყავს მეო.

ამის თაობაზედ უფ. ნაკოლაძე, რასაკვირველია, ჩვეულობრივი და იმის საკადრისი ლანძღვის შემდეგ, წინადადებას გვადლევს, რომ ჩვენვე გადაუთარგმნოთ იმას სსენებულები „მასლაათი“ „ღროების“ 253 ნომრისა და ის დაბეჭდვას თავის გაზეთში იმის დასამტკიცებლად, რომ იმის თარგმანი კარგი თარგმანია.

საუბედუროთ, იმის მოთხონილებას ვერ ვასრულებთ; და ვერ ვასრულებთ ერთის მხრით იმიტომ, რომ დრო ნებას არ გვადლევს, მეორეს მხრით იმი-

იმ გვარ კომერციანში, როგორც არის: ყალბი სასწორ-საზომი, კოტრობის გამოგონება და ცეცხლით ფულის მოგება! შუაგობისა სულ მოსპობს საქართველოს ხალხი, ვიდრე მონაგრობა და ქვეყნის გლეჯა ხელობათ გაიხადოს...

მართს კიდევ ამხანაჯ ამტკაცებს უ. არწრუნე, რომ, რადგანაც პირველ არჩევანში სომხები მეტი იყვნენ, იმიტომაც არ ამოირჩიეს ქართველებიო. ძეთილი და პატროსანი; მაგრამ აქ ერთი ესეც უნდა გვითხრათ, მესამე არჩევანში, რომელიც პატროსანი მუშა-ხელოსანი ხალხისაგან არის შემდგარი და ხმა აქვს უმეტეს ხუთი-ათასს კაცსა, რატომ არ იყვნენ მოწვეულნი ამოირჩიეს დროს გარდა ასიოდე სომხისა? — ჩვენ იმათ გაზნით შევატყობინეთ და უწყებას ხომ ვერ გაუგზავნიდით იმდენ კაცსაო, ამბობთ? ეს ტყუილი თაყის-მართლებია! თუ კი ერთი შაურის გადასახდელათ სამჯერ უგზავნით უწყებას და არ გვზარებათ, ახლა რაღათ დაგვზარათ! მანა არ იცოდით, რომ ისინი გაზნებებს არ კითხობოდნენ? რატომ არ დაიბარეთ ხელოსნების უფროსები და უსტამბოები? ამათთვის რომ შეგეტყობინებიათ, სულ ათი თუ ოცი უწყება დაგჭირდებოდათ, დიდი შრომა არ იქნებოდა, და მოვიდოდნენ?...

მაგრამ აქ სხვა ხრიკები იყო! ხელო-

სნებში მრავალი ქართველია, რომელიც თქვენ არ გეპრიანებოდათ; ამას გარდაც მუშა-ხელოსანი ხალხი ყოველთვის პატროსანია, იმას საერთო არა აქვს-რა მონაგერ—ვაჭრებთან: ხელოსანი იმასა სცილობს, კარგათ და პატროსნათ ასრულოს თავისი ხელობა, რომ საზრდო იშვოს; ვაჭარი კი იმაზედ ჰფიქრობს—თუ ვინ მოატყუოს, რომ მოაგოს. საზოგადო საქმეებში ხელოსანი ხალხი აფასებს და ეძებს კაცს პატროსანს, ვინც უნდა იყოს, და არა მარტო ვაჭარ-სომხს. თქვენ გეშინოდით იმათი და მიტომ ააცილეთ ის ხუთი ათასი ხმის მომცემი ქალაქის საქმეში.

მართალია, „პეპოს“ თქმისა არ იყოს, დღეს ჩაგრებიან ის დაბალი ხელოსნები დიდ და მდიდარ ვაჭრებისაგან, მაგრამ „საწყლის პატრონი დმერთია“ ნათქვამია. მღესმე პასუხს მოითხოვენ და თქვენც, არწრუნებო, გრცხვენოდესთ, რომ ეკედლები ვაჭარ-სომხობას, აქებთ იმათ მომქედებას და ხელოსანი კი დაგვიწყებიათ. ჩვენ კი ჩვენის მხრით იმათ ვაფასებთ და რამდენათაც თქვენი საქმეები ვაჭარ-სომხები გეძულს, იმოდენათ ხელოსანი გვიყვარს, რა ნაციასაც უნდა ეკუთვნოდნენ.

აკაკ

„დროშის“ კორესპონდენცია

სოფ. საზარეჯო, 14 დეკემბერს. შუ. რედაქტორო! არა-ერთხელ გამოკვირებამს ჩვენი წუხარება გაზეთებში და ჩვენდა მახლობელ მთავრობისათვის, რომ ჩვენი იკრის ხეობის ხალხი საშინლად შეწუხებულნი ვართ ორი წუწკი თათრების სოფლის მცხოვრებლებისაგან ძვემო და ზემო-მულანოსაგან, რომლებიც ჩამოხხირულნი არიან ამ ჩვენს ხეობაში. ზემო-მულანოელები სცხოვრობენ ძაკო ჩოლაყაშვილის მამულზედ, ხოლო ქვემოები სახელმწიფოზედ.

მა ორი სოფლის ხალხი არაფრით წარმოებს, ამათი წარმოება წლით-წლით ამდისინ ხოლოთ ქურდობა და ყაჩაღობაა. როგორ გაივლის წელიწადი, რომ საგარეჯოს მინდორში ათიოდ საცოდაობა მაინც არ დააბრუნონ! შეიკრიბებიან ორმოცამდინ ცხენებით, შეარაღებულნი, უცბათ დაეხმიან მწყემსებს, ორას-სამას სულ ცხვარს დაარბევენ; ზოგჯერ მწყემსებს დახოცავენ ხოლმე.

ამ თათრებისაგან რომ ძალიან შეწუხებული იყო ხალხი, რომელიც გუბერნატორს რამდენჯერაც მოახსენეს. მაოლოს გუბერნატორმა განკარგულა მოახდინა ისეთი, რომ რაც ძველ-მულანოს ახლო-მახლო თათრები ვაფანტებთ სცხოვრობ-

ტომ რომ ამით უ. ნიკოლაძეს მაინც ვერაფერში ვერ დავარწმუნებთ: რაც უნდა დედანზე ახლოს და ნამდვილი თარგმანი იყოს ჩვენი თარგმანი, ნიკოლაძე მაინც კიდევ იმას იტყვის, რომ ჩემი თარგმანი უფრო ნამდვილიაო, და იმის რუსულ მკითხველებისათვის რომელთაც ქართული არ იციან და ვერ შეადარებენ ამ ორ თარგმანს დედანთან, ამ თარგმანს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება; ვერ ვასრულებთ კიდევ უფრო იმიტომ, რომ უამისოთაც გვაქვს სხვა საშუალება, რომლის შემწეობითაც ძალიან ცხადათ და ადვილად შეგვიძლიან დატკაცება ჩვენის სიტყვების სიმართლისა—რომ ნიკოლაძის თარგმანი იყო შუღლერული თარგმანი.

მა საშუალება გახლავთ ის, რომ ჩვენ შევადარებთ უფ. ნიკოლაძის თარგმანს თვითონ დედანთან:

პირველი სიტყვავე გვაჩვენებს უფ. ნიკოლაძის პატროსან მთარგმნელობას: „მასლაათი“ ამას გადაუთარგმნია რუსულად „მსлтвнѣя“დ. „მასლაათი“ გახლავთ ტყბილი, მშვიდობიანი საუბარი, რუსულად „მѣсьдѣ“

„ჩუბი“ რუსულად „бѣй“ კი არ არის, არის „ссора“.

„ტიტნი“ „трескотня“ კი არ არის, არამედ „лепетаніе“.

„ღამყარდა მშინდობიანობა“ „упрочил-ся миръ“ კი არ არის, არამედ „установил-ся миръ“.

„ძრუბის ზარბაზნის ზუილი“ უფ. ნიკოლაძეს ასე უთარგმნია: „вой крупнов-скихъ пушекъ“; вой მკლისი გამიგონია და არა ზარბაზნისა, ზარბაზნის ხმაზედ ამბობენ „грохотъ“

„მას ჰქონდა ჩვენი მასლაათის სმენის თაყი ამისთანა დროში“ უფ. ნიკოლაძეს გადაუთარგმნია: „въ такое время кому бы пришло въ голову слушать нашу болтовню.“ ასე უნდა იყოს, „кто сталъ бы слушать нашу бѣсьду въ такое время.“

მართალია, როგორც ახალწლის ნაშუალამევის შემდეგ, ვათენებისასაც მოისმის ხოლმე... უფ. ნიკოლაძეს ამ უზრო ფრაზით გადაუთარგმნია: „правда, подобно ночи на Новый годъ и послѣ полуночи, къ разсвѣту слышатся“ და სხვ. უნდა იყოს: подобно тому, какъ на Новый годъ и послѣ полуночи და სხვ.

„Тигрватость“ რაღა რუსული სიტყვაა? რომელ ლექსიკონში ნახეთ?

მ. კიდევ სადაური რუსულია: „и другія подобныя слова ему тысячами стоять дешевле гроша.“? რასაკვირველია, მეტყვეით სიტყვა-სიტყვეით გადაე-თარგნეო. მაგრამ უბედურებაც ეს არის, რომ ერთი ენიდან მეორე ენაზე სიტყვა-სიტყვეით თარგმნა არ შეიძლება, უზრობა გამოვა. თქვენ გინდოდით, ცუდათ გაპოსულიყო რუსულად, და კიდევ გამოიყვანეთ განა?!

დედან მი ნათქვამია: „...სიტყვებს მოწინააღმდეგეზე რაიმე გავლენა აქვს.“ ამ შემთხვევაში სიტყვა „გავლენა“ „влияніе“—თ კი არ უნდა ითარგმნოს, არამედ სიტყვეით „дѣйствиѣ“.

აგრეთვე თუ გნებავდათ ლიტერატურულად გადათარგმნა, „это не характеръ героя“ კი არ უნდა გეტყვათ, არამედ „это не геройская черта“.

„მაგრამ გაცურა ღმერთი“—„но раз-

гнѣвался богъ.“ ეს ხომ წმინდა ქართული გამოთქმაა და რუსულად ხომ ამას თითქმის არავითარი ჰაზრი არა აქვს? ნეტაყი სიტყვა „გენაცვალე“ რომ ჰყოფილიყო დედანში, როგორ გადათარგმნიდა უფ. ნიკოლაძე? „обмѣняемся“ განა?!

იყო დრო, როდესაც ეფიქრობდო, რომ უ. ნიკოლაძეს შეეძლო საქმის გაკეთება საქმის გაკეთებისათვის... უფ. ნიკოლაძეს ეს წინადადება ასე უთარგმნია: „было время, когда я думалъ, что г. Николадзе могъ работать для работы.“ მა სადაურია! უნდა იყოს: „могъ дѣлать дѣло для самого же дѣла“.


„ზნეობა“ „нравъ“ კი არ გახლავთ, არამედ „нравственность“.

„ძაკი ყურა არ უკლებს“ „не внемлетъ“ რაღი არის, „никто не обращаетъ вниманія“ და სხვ. და სხვ. ზევეოფა ამდენი ჩამოთვლაც, უმისოთაც ვაჭრელდა ფურცელი.

საზოგადოთ თარგმანს ეტყობა უფ. ნიკოლაძის გულითადი სურვილი, რომ რუსულად ის „მასლაათი“ რაც შეიძლება უშნო და უზრო გამოსულიყო; ამისათვის არაფერი არ დაუზოგავს: სიტყვა-სიტყვათ უთარგმნია ისეთი სიტყვები და წინადადებანი, რომელთაც რუსულად არავითარი მნიშვნელობა და ჰაზრი არა აქვთ; წინადადებებში სიტყვების წყობილობა ისეთივეა, როგორც ქართულში; ზოგან ჰაზრი სრულიად გადასხვაფერებულია, დამახინჯებულია და სხვ.

მაგრამ მე რას დავსდევ? მე ხომ რუსებისთვის არ დამიწერია ის ფელტონი!

სოლოლაკელი



დნენ, შეეკუთვნებნათ ისინი სოფელ მუ-
ლანლოში და იქ ჩაუყენეს საკუთარი
პრისტავი, რომელმაც ორ წელიწადს კარ-
გათ შეიკავა მემომ-მულანლოს თათრები;
ხოლო შემომ-მულანლოს თათრებზე კი-
დედ ფიცხელი ყურადღება ეჭირა სარ-
თიქალის პრისტავს უ. ნაცვალოვს. უნდა
მოგახსენოთ, რომ უ. ნაცვალოვის დროს
სიმშვიდე სუფევდა ამ ჩვენს მ. ზაზაში.

ბი ახლა ისევ ახურხურდნენ თათრები
და ამ შემოდგომამდე რამდენიმე საცო-
დაობა დააბრუნეს.

ამას წინათ შშავლები ცხვრის ფარას
დაეცნენ, რომელიც იღმა საგარეჯოს
მინდორში, რასაკვირველია შშავლები-
დან რას წაიღებდნენ, ერთი თათარი ვი-
დეც მოკლეს.

შხლა კიდევ ერთ ღამეს მემომ-მულან-
ლოს თათრები დასხმოდნენ საგარეჯოს
მცხოვრებელის სონიშვილის და მღვდელ
შულისოვის ცხვარს. აქაც მწყემსებს
მარდობა გამოეჩინათ და ერთი ამათაც
მოეკლათ.

მეორე ღამეს კიდევ სხვა ბინას დას-
ხმოდნენ ორმოცამდინ თათარი ცხენე-
ბით და შეიარაღებულნი, მწყემსებისთვის
კარგათ ეცემნათ, ერთი ძალიან არის
დაბევილი ან მორჩება ან არა; დაესლი-
ტათ სამასი სული ცხვარი და წაესნათ.
ერთ მწყემსს იქვე მალაქების სოფლის
მამასახლისისათვის შეეტყობინებინა და
იქვე ჩაფრებისათვის. მეორე დილით
ზოგნი საგარეჯოში მოცივიდნენ და
იმახროდნენ: „არიქა, მღვეარიო!“ მე ასე
მეგონა სწორეთ უწინდელი დრო დამ-
დგარა და ტყვეები ლეკებს წაუსხამთ-მეთ-
ქი; როგორც იყო თორმეტამდინ მოი-
ყარეს თავი. მამასახლისი გაუძღვა და
გასწიეს.

მანამ ესენი გავიდნენ, შეიდი მალა-
კანი და სამი ჩაფარი დასდევნებოდნენ,
მეორე დღეს შარაის მინდორში დასწე-
ვოდნენ იმ ადგილას, სადაც თითონ

თათრებს ჰყოლოდათ მიმალული თავი-
ანთი ცხვარი; აქ ასტყდა საშინელი თო-
ფის სროლა იმათსა და ამათ შორის.
რასაკვირველია, კერპები არიან მალაქ-
ნები და ოსის ჩაფრები, იმათ თოფის
სროლას თურმე არ შეეპყვნენ. იმათ
კარგი თოფები ჰქონოდათ. ღაცდლანთ
და ზოგიერთნი კიდევ დაეჭრათ და თათ-
რები გაქცეულიყვნენ, თავიანთი ცხვი-
სთვისაც თავი დაენებინათ, არამთუ
გარეჯოლების ცხვრისათვის. მივიდნენ
ფარაში, კაცი აღარაინ იპოვეს, დაირე-
კეს ეს ცხვარი და მალაქების სოფელ-
ში გარეკეს. აქ მოვიდა პრისტავი უ.
შალამქაროვი, დათვალეს თათრების
ცხვარი და ყარაულებს ჩააბარეს.

რასაკვირველია, გარეჯოლებს და მა-
ლაქებს ამ ცხვრებით უნდა ეპოვნათ
ის ორმოცი ავაზაკი, რომელნიც დაეც-
ნენ ცხვარს საგარეჯოს მინდორში.

ის ნაცემი მწყემსები ჩივიან უმაღლეს
მთავრობასთან, და არ ვიცით რა განკარ-
გულებას მოახდენენ, და რითი დაას-

ჩუქრებენ იმ ჩაფრებს და მალაქებს,
რომელთაც ის ცხვარი დაეჭრენ.

განცხადებანი

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჰუღელისაგან გა-
მოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვი-
ანის, მართანოვის, ბრიქუროვის და სხვა
წიგნის მაღაზიანებში და „ივერიის“ რე-
დაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას,
ბ. თოფურიძის ღუქანში და აშაშის
სტანციაზე პ. მელიქოვის ღუქანში, ზე-
სტაფონს ჩუბინიძის და ძოსტავას ღუ-
ქანში.

შასნი ორი შაური. მ. ს. ვგზემპლიარს
ვინც იყიდის ერთად, მას თითო ვგზემ-
პლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც
იყიდის იმას შეიდ კოპეიკათ.

მოგავალ 1879 წელს

რუსული ჟოკალ - დიუბრი პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„თფილისის მოკაბე“

(ТИФЛИССКІЙ ВѢСТНИКЪ)

გამოვა იმავე პროგრამითა და იმავე თანამშრომელების მონაწილეობის
მიღებით, როგორც წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი

	გაუფასვენლოდ მან. კაპ.	გაგზავნით მან. კაპ.
ერთის წლით —	11—	12—
ნახევარ წლით —	6—	6—50
სამი თვით —	3—50	4—
ერთის თვით —	1—25	1—50

ხელის - მოწმარ მიიღება თფილისში, შრევის მოედანზე, ხარაზოვის სახ-
ლებში, № 3.

შალაქს გარეშე მცხოვრები ამ აღრესით დაიბარებენ გაზეთს: Въ Тифлисъ,
въ редакцію „Тифлискаго Вѣстника“.

(5—3)

რბ. ზზა.	ლილა.	სალაბ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან.კაპ.	გაზანდა	მან.კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	კაპ.	მ.კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 19 დეკემბერს.		შრევის ს. მედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ძაქასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	შქვე თეთ. მანჯჯისა, ფთ.	195	პეტაშოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	240	133	როსტოვს, მდესახ, მოსკოვს	2	შქვილი წითელი	170	მ. რ. შ. ბ. ა. ს. მერმიშვილი და ბა- რალევიჩი — შინაგ. ავათ., მიუჩა- რიანც — საჯარო ექიმი და საშვი- ლოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	392	218	პეტერბურს, მარშავას.	2	ბაშბა მრეცისა, ფთი.	720	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგ. პ. ბ. ზ. ზ. ზ. — საბებიო და ბავ- შვის, პეტროვი — თფალის.
სურამი	1 44	4 42	246		მსმალეთში, შვეიც. რიში.	3	— პეტრიკია, ფთი.	840	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
შვირილა	5 49	5 81	323		იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბავენტალი ბ. მ. ა. ფთი.	10	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
რიონი	6 5	6 75	375		ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფთი.	720	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
სამტრედია	7 51	7 73	429		ფოჩტა		— მარქამისა ფთი	460	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ახალ-სენაკი	8 43	8 57	476				პარეშუმი ნუხური სტ.	2	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ფთი	9 50	9 75	542				— მონი, ფთი	520	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ფთი	9 3						მონის სანთელი ფთი	760	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ახალ-სენაკი	10 14	1 18	6				სტეარინის სანთელი ფთ.	1250	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
სამტრედია	11 5	2 6	14				ხორცი ძროხისა, ლიტ.	90	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
რიონი	12 13	3	169				— ცხვრისა, ლიტრა	90	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
შვირილა	1 18	ლაგ.	398	221			სპირტი ვედრო	480	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
სურამი	5 12	1 10	533	296			შაქარი, ბროც. ფთი	840	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ხაშური	5 39	1 37	584	324			— ფხვნილი ფთი	640	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
ზორი	7 5	4 87	364	9			შავა გრგვლი, გორგ.	70	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
მცხეთა	8 50	6 59	98	54			ხეთი ქუნჯუთისა ფთი	13	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.
თფილისი	9 31	7 56	975	542			მამაქო, საშუალო ფთ.	680	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — ში- ნაგანი.